ოთხშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 6 № 210

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 6 № 210

ფასი: თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

გენტის ჩრდილოეთით ბრძოლა.

ვალონსიენის აღმოსავლეთით გერმანელებმა უკან დაიხიეს.

ლუკესნუას და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა.

უაზის და ენის შუა საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა ლე-კესნუასა და ანდრეს შუა ფრანგ-ინგლისელთა. იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარა.

ოსმალებმა მიიღეს დროებით ზავის პირობები: ლაშქრის დემობილიზაცია და სამხედრო გემების მოკავშირეთათვის გადაცემა.

გერმანულ-ავსტრიის სახელმწიფო საბჭომ ვენაში ავსტრიის გერმანელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანულ-ავსტრიისთვის შემუშავებულია დროებითი კონსტიტუცია და არჩეულია სახელმწიფო საბჭო.

სახელმწიფო საბჭო ჰნიშნავს გერმანულ-ავსტრიის პირველ მთავრობას, რომელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს.

ვენაში შესდგა ჯარის-კაცთა დეპუტატების დროებითი საბჭო.

ავსტრიის საგანგებო ლაშქარი გენ. საუსკის ხელმძღვანელობით რავა რუსკაზე და ზამოვზე შეტევას განაგრძობს.

ერასტი ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებით: მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე პირველისა, დედა მეორენის და შვილი მესამისა

ნინო გრიგოლის ასული

ჭავჭანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე საღამოს. გამოსვენება ხუთშაბათს, 7 ნოემბერს დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდგან მიხეილის ქუჩა № 36 ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 3—1854—2

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ვასასი მურზაყანის ასული და დესპინე პეტრეს ასული ხუხუნისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 7 გიორგობისთვეს ქ. ფოთის ადგილობრივ სასაფლაო ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უძვირფასესი მეუღლის და მეორის ძმის

ანდრია პეტრეს ძის ქვანიას

1856 სულის მოსახსენებლად. 1—1

ქართული საამშენებლო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება

ოქროს ვერძი

ამით აცხადებს, რომ რადგან 30 ღვინობისთვეს ამ წლისა არ შესდგა უწყებებით და განცხადებებით მოწვეული საგანგებო კრება აქციონერების, ამისათვის წესდების 66 მუხლის ძალით მქციონერებს იწვევს მობრძანდნენ მეორე საგანგებო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ქ. ფოთში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში. კვირას, 17 გიორგობისთვეს, დღისით 12 ს.

კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად აქციონერთა რაოდენობისა. გაირჩევს იგივე საკითხები, რომლებიც პირველ კრებაზე უნდა გარჩეულიყო:

1) დანიშვნა ვადების. საზოგადოების აქციონერ-დამფუძნებელთა შორის გაწერილ აქციების შემოსატან გადასახადების და ამ გადასახადების რაოდენობისა.

2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა და სხ. (§ 40). 4—54—2

ახლად ჯარში გაწვეულ

ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევის ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

7—50—6

კახელ მემამულეთა საზოგადოება

„კახეთის" გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადო კრება წევრებისა დანიშნულია ქ. თელავში 6 ქრისტეშობისთვეს.

კრების საგანია: 1) განხილვა-დამტკიცება 1917—1918 წ. ანგარიშის, გამგეობის და სარევიზო კომისიის მოხსენებები, 2) 1918—1919 წ. აღრიცხვა, 3) წევრთა სიის გადაშინჯვა, 4) მიმდინარე საკითხები და 5) არჩევნები:

საბჭოს ხუთი წევრის, თანახმად ახალი წესდებისა და არჩევა გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ესტატე პატაშვილისა, რომელსაც რიგში ვადა უთავდება. 1—1

## საგარეო საქმეებზე.

ახლო-აღმოსავლეთში კარდინალური მნიშვნელობის საერთაშორისო ცვლილება მზადდება.

ეს მოვლენა—როგორც მოსალოდნელი იყო—ელექტრონის მსგავსად გადმოეცა უკვე კავკასიას; ჯერ-ჯერობით ჩვენს სამხრეთ სანაპიროზე.

მართალია პირველი გამოძახილი ამ მოვლენისა მიწყნარდა ამ ხანად... საომარი მოქმედება ქორინჯის და წათერის ხაზით უკვე დამთავრდა. მაგრამ დამთავრდა კი ამით საქართველო-სომხეთის კოლიზია?

ჩვენი წრეები როგორცა სჩანს მიუტევებელის ოპორტიუნიზმით უცქერიან მოახლოებულ მოვლენებს.

მაინცა და მაინც ჩვენს პრესსაში, და ჩვენს პარლამენტშიც, გვესმოდა მხოლოდ კრიტიკა სომხეთის მთავრობის დემოკრატიზმისა, და განცვიფრება იმის გამო რომ სომხეთმა მორიგება არჩია „იმპერიალისტურ" საგარეო ძალებთან...

ეს გარემოება რასაკვირველია მხოლოდ იმას თუ გვიჩვენებს რამდენად განუკურნელია ჩვენი პოლიტიკური გულუბრყვილობა...

ხოლო რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს ისინი ყველაზე ნაკლებ არიან შეპყრობილი სენტიმენტალური გრძნობით. ყოველ შემთხვევაში მათთვის არის ისეთი საგნებიც, რომლის გულისათვის მათ არ უძნელდებათ გვერდზე გადასდონ თავიანთი პრობლემატიური დემოკრატიზმი...

ობიექტიური პირობების შეფასებიდან ჩვენ არ შეგვიძლია სკეპტიკურ დასკვნებს არ დავადგეთ ახლო მომავალის შესახებ.

როგორც ვიცით სომხის ჯარი დამკვიდრდა კიდეც საქართველოს სამხრეთ ოლქებში, და ეს ოსმალეთის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის დახმარებით. მაგრამ დამთავრდა განა ამით ახალი შეთანხმების შესაძლებლობა საგარეო ძალებთან?

უნდა ვიცოდეთ, რომ სომხეთსა და ოსმალეთსაც ამოქმედებდა ამ შემთხვევაში აქტუალური ინტერესების თანხმობა. ხოლო ასეთ რეალურ ფაქტორებს საზოგადოდ უებარი გავლენა აქვთ პოლიტიკაზე.

და ამასთან უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ოსმალეთის ჯარები ჯერ კიდევა სდგას საქართველოს ტერიტორიაზე: ახალციხესა და ახალქალაქში, არტაანსა და ოლთისში, ართვინსა და...; ხოლო როგორ გადაწყდება (ან გადაწყდა კიდეც) ამ ოლქების ბედი დიპლომატიის კულისებში?

მაინცა და მაინც ოსმალეთს კომპენსაციებზე უხდება ამ ჟამად ზრუნვა. ხოლო ეს ტერიტორია გაცილებით მეტია სივრცით ვიდრე—მაგალითად—ბევრი პატარა სამეფო გერმანიისა, და ორჯელ მეტი ვიდრე დღევანდელი სომხეთი... (—ეს, თუნდაც არ მივათვალოთ ზღვის სანაპირო, საცა ცოტათი სხვანაირი კომბინაცია არის მოსალოდნელი)...

ოსმალეთს უხდება ამ ჟამად ფიქრი სომხეთის მოწყობაზე. ხოლო ოსმალური წრეების შეხედულება ამ საკითხზე შეუძლებელია ორნაირი იყვეს: არაფერი, ან მინიმუმი—ოსმალეთიდინ, ხოლო მაქსიმუმი კავკასიის ანგარიშზე. (იხ. ამის შესახებ აგრეთვე საგულისხმო ცნობა ოსმალური პრესსისა, მოთავსებული ქვემოდ).

როგორი იქნება ამ შემთხვევაში პოზიცია სომხის „დემოკრატიული" წრეებისა? წერილის ფარგლები ჩვენ არ გვაძლევს ნებას შევეხოთ კითხვას, თუ რამდენად პრობლემატიურია ოსმალეთის სომხეთის ბედი. მაგრამ უამისოდაც ცხადია რომ სომხის „დემოკრატია" შეეცდება დამკვიდრებას ამ თავით საქართველოს ნაყოფიერ ველებზე; ხოლო მით უფრო კარგი თუ მომავალში სამხრეთ-სომხეთის ზოგ ოლქებსაც შეიერთებენ...

...და ყოველსავე მასთან ერთად უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ოსმალეთის მთავრობა უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ საკითხებზე სომხის დელეგაციასთან. ოსმალეთმა დიდი ავანსები გასცა კიდეც განჯის პროვინციის ზოგ ოლქებზე. უკვე იყო ცნობა ყარაბაღის დაცლის შესახებ. მაგრამ თუ ოსმალეთმა გასწირა ადერბეიჯანის საარსებო ინტერესები და კავკასიელი თურქების მიწა-წყალს ჩამოაჭრა რანის პროვინციები, რამდენად უფრო გულუხვი იქნება ოსმალეთი საქართველოს ტერიტორიის ანგარიშზე?

მართალია ოსმალეთის ბედი დღეს უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ სტამბოლის კაპიტულაციას... მაგრამ საქმე ის არის, რომ საერთაშორისო სიტუაცია ახლო-აღმოსავლეთში მეტად რთულს მოვლენას წარმოადგენს. და ზოგი ნათლად გამოხატული ტენდენციების მიხედვით არაფერია მოულოდნელი თუ რომ იმის შემდეგაც-კი, რაც შეთანხმების ჯარები სტამბოლში შევლენ, სომხის ჯარები გამოჩნდება მტკვრის, და იქნებ ჭოროხის ხეობის ზოგ ოლქებში, ოსმალეთის ისეთივე კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტის დახმარებით, როგორათაც ეს ვნახეთ ბამბაკსა და ლორეში...

მაგრამ დავივიწყოთ ერთის წუთით ეს საერთაშორისო პოლიტიკური ნეგატივები.

უამისოდაც პოზიტივი მეტად საგულისხმოა. უამისოდაც ჩვენ ვიცით, რომ სომხის „დემოკრატია" აქტუალურ ინტერესს იჩენს საქართველოს მიწა-წყალისადმი. ჩვენ ვიცით ბევრი გადამიჯვნის პროექტები. და უკანასკნელის მორცხვის გეგმით, რომელზედაც ახდილად გვესაუბრებოდენ ჩვენი მეზობლები, საქართველოს საზღვარი გასდევს იმნაირად, რომ გორის მაზრის ორი სოფელიც სომხეთში რჩება; ხოლო თბილისის გასწვრივ ეს სამიჯნო ხაზი ისეა გაყვანილი მდ. ხრამზე, რომ აქედან არც ისე შორს მსროლელი ზარბაზნის ყუმბარა საქართველოს პარლამენტის წინ გასქდება...

ხოლო როგორია სომხის „დემოკრატიული" წრეების გადამიჯვნის გეგმა ამ ჟამად? მაინდამაინც ჩვენ ვიცით, რომ რიცხვების პროგრესიის გვერდით არსებობს პოლიტიკური აპეტიტების პროგრესია; განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთაშორისო ტემპერატურის ცვლილება მოხდება ხოლმე. ჩვენ არ ვიცით როგორია დღეს სომხის პოლიტიკოსების სამიჯნო ხაზი ბორჩალოს მხრით; ხოლო ახალ-ქალაქის ფრონტზე-კი იგი შეცვლილა უკვე. დღეს ლაპარაკობენ არა მარტო ჯავახეთზე, არამედ ათი სომხური სოფლის შესახებაც ახალციხის ოლქში. ეს სომხური სოფლები—როგორც ვიცით გარს აკრავს ქ. ახალციხეს. და როგორც სჩანს მეათე სოფლად აქ იგულისხმება თითონ ახალციხის ქალაქი... ხოლო სად იქნება სომხეთის ახალი ალექსანდრეპოლი?..

ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გადამიჯვნის გეგმები შედგენილია არა მარტო აკადემიურის ინტერესით... მაგრამ იქნებ სომხის „დემოკრატიული" წრეები ფიქრობენ, რომ უკვე დროა ამ პროექტების რეალიზაციის მოხდენისა?

ჩვენ ეს არ ვიცით.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში საგარეო ძალთა დარაზმულობა დღეს ისეთი შეიქმნა, რომ სომხის ხალხს ნერვიული თრთოლა ემართება, როცა იგი საქართველოს ნაყოფიერი ველებისაკენ გამოიხედავს. — —

. . . და მე მგონია ნაცვლად სომხის მთავრობის დემოკრატიზმის კრიტიკისა, რაც მარტოოდენ გვესმოდა ჩვენს პრესაში, და ჩვენი პარლამენტის 26 ოქტომბრის ისტორიულ სხდომაზე, უფრო ჯეროვანი იქნებოდა ჩვენი საკუთარი ძალების მოკითხვა; და ამასთან ისტორიის გაკვეთილების დაკვირვება.

მე მგონია დროა უკვე შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას: როგორია ჩვენი მილიტარული რესურსები?

გამოიყენა მან სავსებით ამ მხრივ წარსული ნახევარი წელი, რომელიც მნიშვნელობით მთელს საუკუნეს უდრიდა, და რომელსაც ინტენსიური შემოქმედების ნიშნის ქვეშ უნდა გაევლო?

როგორც ვიცით ზარბაზნების ენა უფრო მჭევრმეტყველია ვიდრე ისტორიის სამართალი. ეს ჩვენ ვნახეთ ბათომის ბჭეებთან.

და მართალია საერთაშორისო ვითარება შეიცვალა მას შემდეგ; მაგრამ ახსოვდა თუ არა მთავრობას რომ საერთაშორისო მდგომარეობა არ არის ერთხელ და სამუდამოდ გაყინული ავგრეგატი; რომ ჩვენ საბედისწერო გეოგრაფიულ მიჯნაზე ვცხოვრობთ; რომ მცირეოდენი ცვალება საერთაშორისო განწყობილებაში ამ კატაკლიზმების დროს საფრთხის წინაშე დააყენებდა ჩვენს ქვეყანას; რომ საქართველოს იმდენი ფრონტი აქვს რამდენი კილომეტრია მისი საზღვრების...

რასაკვირველია, მშვიდობიანობა მეტად კარგი რამ არის. მაგრამ ძველი რომაელების ერთ ბრძნულ თქმულებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი ფასი; და იგი განსაკუთრებით ჩვენ შეგვეხება. Si vis pacem, para bellum...

ან რად არ გამოიყენა ჩვენმა მთავრობამ ჩვენდა სასარგებლოდ განწყობილი საგარეო ურთიერთობა?

დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ იმ ძალთა განწყობილების დროს, რომელიც იყო უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე, ქართველ დიპლომატიას დიდი შედეგებისათვის შეეძლო მიეღწივნა; მას შეეძლო უმტკივნეულოდ გადაეჭრა ის საკითხები, რომლისათვის ქართველ ხალხს დღეს იქნებ ბევრი სისხლის გამოშვება დასჭირდეს. ჩვენი სადარაჯოები—ამ გზით—დღეს ამართული იქნებოდა ჯაჯუთის, სიფთაქის და დელიჟანის—თავის უღელტეხილებზე.

მართალია ჩვენი მთავრობა მეტად მორიდებული ხალხია ამ მხრივ. მაგრამ მე არა მგონია ჩვენი ჩვენი მთავრობა დაყენებული იყვეს სენტიმენტალური რევერანსებისათვის... მას კარგად უნდა ესმოდეს ქართველი ხალხის სისხლის ფასი... და ამასთან უნდა იცოდეს ისიც. რომ პოლიტიკაში ფაქტები უფრო დამაჯერებელია ვიდრე პლატონიური სურვილები...

ყოველ შემთხვევაში ჩვენი მეზობლების მთავრობა ნაკლებ არის შეპყრობილი პოლიტიკურის ცრუმორწმუნეობით. მან უკვე შესძლო დღეს თავისდა სასარგებლოდ მოგვარება ზოგი კითხვებისა, და ჩვენ ანგარიშზე მეტად სარფიან შეთანხმებას მიაღწია.—და დღეს სომხის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე სდგას, და თბილისისაკენ შემოსავალ უღელტეხილებში გამაგრებული მეტად ენერგიულის ტონით გველაპარაკება საზღვრების საკითხზე...

დღეს დეკორუმი იცვლება და ჩვენ დაგვჭირდება რადიკალური ზომებისათვის მიმართვა...

ჩვენ გვაგონდება ბ-ნი ნოე რამიშვილის ერთი მჭევრმეტყველური გამოსვლა პარლამენტში. აქ ირჩეოდა პროექტი ტელეფონის სადგურების გამართვისა საქართველოს ყოველ სოფელში; ეს მოითხოვდა დიდი ხარჯების გაღებას, და ამის გარდა ხალხისათვის სავალდებულო მუშაობის შემოღებას. მაგრამ პატივცემულმა მინისტრმა ერთხმივი მოწონება მიიღო პარლამენტისა, როცა მან სთქვა: ახლოვდება მსოფლიო ომის დასასრული და ევროპის ხალხთა ტრიბუნალის წარდგომის წინ ჩვენ გვმართებს ევროპიული კულტურით შეიარაღებაო.

რასაკვირველია, ტელეფონი მეტად საჭირო საგანია. ð ისიც მართალია,რომ მსოფლიო კრიზისი დასასრულს უახლოვდება. მაგრამ პატივცემულ მინისტრს ყველაზე წინ უნდა ახსოვდეს ისიც, რომ როდესაც ეს გარდამწყვეტი მომენტი მოახლოვდება საქართველოს საზღვრებს ამოხაზავენ იმის მიხედვით კი არა, თუ სად იდგომება ტელეფონის ბოძები, არამედ იმის მიხედვით—თუ რომელ მიჯნებზე იქნება გამაგრებული ამ დროს ქართველი ჯარი...

რასაკვირველია, პატივცემულ მინისტრს თავისი მჭევრმეტყველების ნაწილი მაინც რომ მოეხმარნა ქართული ჯარის საკითხისათვის, დღეს იმდენად საგრძნობი მილიტარული ძალა გვეყოლებოდა, რომ შესაძლო გახდებოდა ბევრი ჩვენი ეროვნული იდეალების მიღწევა. საქართველოს აქვს არა ერთი და ორი ირედენტა. და ეს პირველ რიგში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ისტორიამ ჩვენ მოგვცა აქ carte blanche. და ისტორია, როგორც ვიცით, არც ისე ადრე შეორდება...

მაგრამ მაინც ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ იმ საკმაოდ ნელმა მუშაობამაც, რომელიც, რომელიც სწარმოებდა სამხედრო უწყებაში, გამოიღო ნაყოფი, და ამ ჟამად ქართველ ხალხს მოეპოვება იმდენი მილიტარული რესურსები, რომ დაიცვას თავისი უაღრესად სასიცოცხლო ინტერესები და არ გადასცეს სხვის ხელში დედაქალაქის გასაღებები, მტკვრის ხეობის ტერიტორიული ავანპოსტები.

დღეს საქართველო გარემოცულია ყოველ მხრივ;

და ამავე დროს ახლოვდება დიდი საერთაშორისო კატასტროფის კრიზისი;

შედეგები დღევანდელი დღისა დიდის ხნით განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სამერმისო არსებობას.

და იმის მოლოდინში თუ რას გვეტყვის მოახლოვებული დიდი მოვლენები, ჩვენ გვმართებს ამოძრავება ერის მთელი დინამიური ენერგიის...

ჩვენ გვმართებს მოგონება ერთი სათნოების, რომელსაც თვითმოქმედება ეწოდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, საგარეო ძალები უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. მართალია ისიც, რომ ინგლისის დრედნოუტების მოახლოვებამ ბოსფორთან საგრძნობლად შესცვალა ჩვენი სამხრეთელი მეზობლის სულიერი განწყობილება; და ამ მოვლენამ მოსალოდნელია სხვებზედაც იქონიოს ასეთივე ზეგავლენა. მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საკითხავია, რას იტყვიან თითონ ეს საგარეო ძალები. სომხეთი დღემდე აწარმოებდა დიპლომატიურ ვაჭრობას ოსმალეთთან საქართველოს ანგარიშზე ხოლო რას იტყვიან საქართველოს ის გადამწყვეტი საგარეო ძალები, რომლებიც ეხლახან გამოჩნდნენ ჩვენს პოლიტიკურ ჰორიზონტზე?

საქართველო არის ფორ-პოსტი წინა-აზიისაკენ გზებზე ამართული... და ასეთ რეალურ ფაქტორებს შეიძლება მეტი წონა დაურჩეს ამ შემთხვევაში, ვიდრე ზოგს ადვილად გაცემულ ავანსებს...

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: ჩვენ სასტიკად შემცდარი ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ მხოლოდ საგარეო ძალები გადასწყვეტენ ჩვენს ბედს. გარეშე ძალებს როლი ამ შემთხვევაში ნაკლებ აქტუალური იქნება. იგი დააკანონებს იმ ფაქტიურ ვითარებას, რომელიც დამყარდება ჩვენს ქვეყანაში იმ დროისთვის, როცა დადგება ეს გადამწყვეტი მომენტი.

და ამის მოლოდინში ჩვენ გვმართებს ინტეგრაცია ნაციის ყველა ცოცხალი ძალების. ჩვენ გვმართებს მტკიცედ გამაგრება იმ საზღვრებში, რომელიც ისტორიამ ქართველ ხალხს ამოუხაზა სამკვიდრებლად.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ სომხეთის ტრადიციულ მეგობრობაზე საქართველოსთან. ჩვენ გვგონია, სასტიკი სინამდვილე არ გაამართლებს ამას.

მიტომ, რომ ისტორიას ჰქმნის არა კეთილი სურვილები, არამედ უფრო ულმობელი სოციალური სტიქიონი.

და რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო ის მოვლენა, რომ წარსული საუკუნის მანძილზე სომხური ტალღა როგორც ლავა ისე ეშვებოდა მტკვრის ხეობაში, და სომხური კოლონიები რადიუსების მსგავსად მოემართებოდნენ თბილისისა და შუა-ქართლისაკენ... ხოლო დაკვირვებული შესაფება ობიექტიური პირობებისა გვარწმუნებს, რომ ამ სტიქიური მოვლენის გამომწვევ ღრმა მიზეზებს არ გაანელებს ის რადიკალური ცვლილება, რომელიც დღეს ახლო-აღმოსავლეთში ხდება... და სომხეთი დღეს სცდილობს წარსულში მონაპოვარის ლეგალიზაციას და ჩრდილოეთისაკენ მომავალ ტერიტორიის ავანპოსტებზე დამკვიდრებას.

რასაკვირველია, სომხის ხალხს ამ შემთხვევაში არავითარი მტრული განზრახვა აქვს ჩვენდამი...

მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ ვთქვათ: სომხის ხალხის ეს მეგობრული მოხვევნა შესაძლოა იმდენად მჭიდრო აღმოჩნდეს, რომ ქართველ ხალხს ამისგან გული შეუწუხდეს.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ვსთქვათ: ჩვენი მეგობრობა სომხეთთან გაცილებით მტკიცე იქნება როცა ჩვენ შორის ამართული იქნება თოვლიანი მთების ის ბარიერი, რომელიც თითონ ბუნებამ დასვა ჩვენს საზღვრად, და სადაც გაატარა თავისი მიჯნა ისტორიამ;

უღელტეხილები, რომლებიც გადასერავენ მტკვარსა და არაქსის წყალთა-გამყოფ თოვლიან ალპებს, ღია იქნება მეგობრული ურთიერთობისათვის მშვიდობიანობის დროს;

ხოლო როცა სომხის ხალხს მომავალში—ისე როგორც ეხლა—აიტანს მხურვალე გულისთქმა არაქსის ზეგანიდან მტკვრის ველებზე დამკვიდრებისა, მაშინ საუღელტეხილო კარების დაკეტვა არც ისე ძნელი იქნება, და ეს მოსაზღვრე თოვლიანი მთები გაანელებენ ამ მხურვალებას.

პავლე ინგოროყვა.

P. S. ამ წერილის დაბეჭდვა—ტეხნიკური მიზეზებისა გამო—დაგვიანდა. ამის შემდეგ სტამბოლიდან მოვიდა კერძო ცნობა, რომლის მიხედვით ოსმალეთის კაპიტულაცია უახლოეს დღეებში არის მოსალოდნელი. მაგრამ ეს გარემოება რასაკვირველია არ ანელებს ამ წერილში გამოთქმულ სკეპტიკურ დასკვნებს. პირიქით ამან შესაძლოა დააჩქაროს ზოგი მოვლენები... მაგრამ იქნებ ბევრი კითხვები გადაჭრილია კიდეც? და ჩვენ საქმე გვაქვს ახალ ბრესტთან?..

ყოველ შემთხვევაში ამ თავითვე საჭიროა კონტაქტი ახალ საგარეო ძალებთან, და ჩვენი ბედი არ მივანდოთ მოვლენების მხოლოდ სტიქიურ მსვლელობას...

პ. ი.

## ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა

კაპიტალისტურ განვითარების უკანასკნელი ხანა დახასიათდება ცალკე მომქმედ კაპიტალების საერთო მთლიან წარმოებებში შეერთებით, რომელთა სახელია აქციონერული საზოგადოებანი. არა ერთხელ ალგვინუსხავს, რომ [illegible]

ფასი ევროპის, გერმანიასა და საფრანგეთ ინგლისისა ბაზარზე ე. ი. თვით ბანკებსა და ბირჟაზე მეტი იყო ვიდრე იგივე რუსეთის ოქრო ფულისა 1912—1913 წ. ფულის ღირებულება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ბაზრის ვითარებაზე: აქვს ფულს „მოთავსება"? მაშინ მასზე მეტი მოთხოვნილებაა, მისი ღირებულებაც მეტია. თუ ფულს არა აქვს საკმარისი „მოთავსება", მისი რაოდენობა ბაზარზე იზრდება, ღირებულებაც ეკარგება.

უმთავრესი საჭიროებაა ჩვენი ფინანსიურ პოლიტიკისათვის ბაზარზე ბლომათ დაგროვილ და სოფლებში გაფანტულ ფულის რაოდენობას მოთავსება გაუჩინოს. მთელი ვაჭრობა-მრეწველობისა და ტრანსპორტის მოთხოვნილება, რომელიც არსებობს:

1) აღერბეიჯანში, 2) არარატის რესპუბლიკაში 3) ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაში და უწინარეს ყოვლისა თვით საქართველოშიც—უნდა დაკმაყოფილდეს ჩვენში მოჭრილ ფულით, რადგან არც ერთს არ გააჩნია უკეთესი საშუალება ფულის შოვნისა.

პირის-პირ აგეთი დიდი მოთხოვნილებისა, ჩვენი ფული ძალზე აიწევდა ღირებულებაში, რომ ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკა სათანადოთ სიფხიზლით მოჰკიდებოდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს.

სახელმწიფოს სჭირდება და საშუალება აქვს შეიძინოს უკრაინის შაქარი, ჩრდილო რუსეთის პური, მოკლე ხანში ბაქოს ნავთი. ამ საქონელთა შესყიდვისა და საქართველოში შემოზიდვისათვის სახელმწიფომ უნდა დაუკავშიროს თავის აპარატს ამ მიზნისათვის ახლათ შემდგარი კომერციული ამხანაგობანი და აქ- [illegible]

ჩვენს სახელმწიფოს აქვს ტყვარჩელის ქვა-ნახშირი, რომლის დამუშავებისათვის აპარატის შექმნას იმ თავითვე უნდა შესდგომოდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, შესაფერ სააქციონერო საზოგადოების დაარსებით და შესაფერ იარაღების შეძენით. ისეთი ქვანახშირის რაიონი, სადაც 13 მილიარდ ფუთზე მეტი რეზერვია, რომლის ხარისხი ერთი საუკეთესოთაგანია, რომელიც მიუცილებელ საფუძველია მთელი ჩვენი მომავალ სამრეწველო ყველა დარგების განვითარებისა, ასეთ უდიდეს მნიშვნელობის დარგი ძალზე წაახალისებდა ჩვენს ვაჭარ-მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების დაარსებისათვის, თუ კი მთავრობა თავის მხრივ დახმარების სურვილს უჩვენებდა.

ავიღოთ აბრეშუმისა და შალის ქსოვა, რომელიც ძალზე გავრცელებულია ჩვენში. რომელმაც ძლიერათ გაიტაცა ჩვენი მწარმოებელნი და რომელიც კიდევ პრიმიტიული წესით სწარმოებს, რადგან სახელმწიფოს შესაფერი დახმარება არ გაუწევია იმ წრისათვის, რომელთაც სურვილი და შეძლება აქვთ საქმე განავითარონ, ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვაზე მორთონ და მით საქართველო გახადონ მთელ კავკასიისა და მცირე აზიის ექსპორტიორად. აქაც საჭირო იყო მხოლოდ მიზან შეწონილი და გარკვეული პროგრამის შემუშავება და სულიერ განწყობილებისა და ხელსაყრელ ვითარების გამოყენება. შედგენა აქციონერულ საზოგადოებისა, დახმარება შესაფერ მანქანებისა და სატრანსპორტო იარაღების შოვნაში უცხოეთიდან (ასეთი წინადადება ბევრი იყო) შექმნა იმ იმედისა, რომ ასეთი სახელმწიფო მნიშვნელობის წარმოებას მთავრობა ყოველის მხრივ დაეხმარება და ყურადღებას არ მოაკლებს—წააქეზებდა ჩვენს ვაჭრებსაც და მეტის გაბედულობით გამოაღებინებდა თანხას, მეტის ხალისით აამუშავებდა ჩვენს ვაჭარ-მრეწველთა წრეს.

ასეთი დარგები სხვაც ბევრია. მაგრამ ჩვენ გვსურდა მხოლოდ ორიოდე მაგალითით თვით პრინციპი საპროგრამო აღგვენიშნა. კერძო მწარმოებელთა დაკავშირება უცხოეთთან საქონლის გაცვლაში, და მეტადრე მრეწველობის საყურადღებო დარგებში, შექმნა აქციონერულ საზოგადოებათა თუნდაც მთავრობის თაოსნობით, მისი წაქეზებით, ისე, როგორც ეს თავის დროზე ხდებოდა ევროპის ყველა ქვეყნებში—მეტს აქტივობას, მეტს ხალისს შეიტანდა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ერთბაშათ დაგროვდებოდა ფული დაწყობილ წარმოებებში. ფული იშოვიდა თავის მოთავსებას და ბაზარზე ფული ბუნებრივათ გაძვირდებოდა ე. ი. მისი ღირებულებაც აიწევდა, მეორე მხრივ კი საძირკველი ჩაედგმებოდა ჩვენს ეკონომიურ აღორძინებას.

დიახ, მთავრობა, კერძოდ ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ვალდებულია ითავოს, რომ ახალ საკომერციო და სამრეწველო წარმოებისათვის შესდგეს სააქციონერო საზოგადოებანი და ამხანაგობანი. თაოსნობის აღება სახელმწიფოს მიერ მიუცილებელია, რადგან ერთი რომ ჩვენი ვაჭრები და მრეწველები საჭიროებენ ჯერ კიდევ ერთგვარ ხელმძღვანელობას, გაუბედავნი და შედარებით სუსტნი არიან, როგორც მაგ. მეჩვიდმეტე საუკ. საფრანგეთის მრეწველნი. მეორე კიდევ ახალი დროის პირობებს, სოციალისტურ მთავრობის მოქმედებას, მეტადრე რეკვიზიციის წესებს, განსაკუთრებით კი ერთი კლასის, მუშების მფარველობის პოლიტიკის გამო ჩვენი მრეწველნი ერთბაშათ ჩავარდნენ ახალ უჩვევს მდგომარეობაში, ახალ უფლებრივ პირობებში ისინი ვერ გაერკვნენ უცებ მათი გაუბედაობა ახალ სამრეწველო წარმოებათა გახსნაში სრულიათ ბუნებრივია და გასაგები. გაიხსენეთ ქუთაისის ამბები! ასეთ ანორმალურ პირობებში: რევოლუციის გარდასული სიმწვავე, დიქტატურა, კომიტეტების უკანტროლო ბატონობა ერთგვარ შიშს ჰბადებს კაპიტალის ახალ წარმოებაში მოთავსების წინააღმდეგ.

აი, აქ მთავრობის, სათანადო სამინისტროს გამამხნევებელი სიტყვა, შესაფერი თაოსნობა და ენერგიული დაკავშირება ვაჭარ-მრეწველთა სახელმწიფოსთან არა მარტო გადასახადების მოთხოვნით, არამედ სათანადო საკომერციო და სამრეწველო საზოგადოებების შექმნით, მათდამი უფლებრივ დახმარების გაწევით დ განსაკუთრებული ყურადღება შექმნიდა სულ სხვა, სახელმწიფოსა და ეკონომიკისათვის ფრიად საჭირო და სასარგებლო ატმოსფერას.

მორიგი ამოცანა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი იქნება ხელის შეწყობა სააქციონერო საზოგადოებათა და საკომერციო ამხანაგობათა გამრავლებისათვის და მათი სამოქმედო ასპარესის გახსნა როგორც უცხოეთთან საქონლის გაცვლაში დაკავშირებით ისე შინ სამრეწველო დარგების ამუშავებით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სართავ-საქსოვისა, ქვანახშირისა და „თეთრი ნახშირის" ე. ი. ელექტრონის მრეწველობას.

დღემდე დაყოვნებული საქმე, შემდეგში მაინც ენერგიულად აწარმოონ.

ტიტე მარგველაშვილი.

## სიტყვა თქმული მიხაკო წერეთლის მიერ

ქართულ-გერმანულ საზოგადოების საღამოზე, რომელიც ბერლინის „ესპლანადის" სასტუმროში გაიმართა 1918 წლის მაისის 27-ს საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად.

კავკასია იქმნება არა მარტო ხიდი ევროპისა და აზიის შუა გადებული, არამედ აგრეთვე მას შეეძლება, თუ ეკონომიური განვითარება მოასწრო, რამოდენიმედ მაინც გაანთავისუფლოს ცენტრალური სახელმწიფოები იმ არასასურველ ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან, რომელიც მათ ამერიკისა და ინგლისის კოლონიათა მხრივ უქადის.

და ჩვენ ვიცით, რომ გერმანიასა და მის მოკავშირეებს ნამდვილი ინტერესი აქვსთ კავკასიაში და არა წარმავალი. კულტუროსან შორსმჭვრეტელ დიდ ერს არ შეუძლია წარმავალი ინტერესი ჰქონდეს ისეთ ქვეყანაში, რომლის დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. პოლიტიკა მდიდარ და აყვავებულ ქვეყანათა ძარცვისა და შეჭმისა არასოდეს არ ახასიათებდა გერმანელთა მოდგმას, და თვით ხალხთა გადასახლების დროსაც კი ესმოდა ამ მოდგმას ღირებულება კულტურისა და ჰკვიანური სარგებლობა დაპყრობილ ქვეყნებითა.

ხოლო შეგნებული ინტერესი დიდის კულტუროსანის ერისა ის უნდა იყოს, რომ აღადგინოს ბედის უკუღმართობისაგან დაცემული ერები, შთაბეროს მათ ახალი შემოქმედებითი სული, უხელმძღვანელოს მათ და ამ განთავისუფლებულ ერებთან ერთად მიაღწიოს დიდ საერთო მიზანთა! ნამდვილ ინტერესს დიდი ერისას, რომელსაც სურს მსოფლიო ისტორიას განსაზღვრული მიმართულება მისცეს, ის კი არ არის, რომ თავისუფალ და ნიჭიერ ერთაგან მონა შეჰქმნას, არამედ ის, რომ მონათაგან შეჰქმნას თავისუფალი და კულტუროსანი ერი. რაც ბალკანეთში მოხდა ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში—სულ ერთია, როგორც უნდათ ისე დააფასონ, ხოლო ერთი კი არის ცხადი და უეჭველი: ის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური როლი, რომელიც ბალკანეთის სახელმწიფოებმა ითამაშეს უახლოეს ისტორიაში, ის დიდი ინტერესი, რომელიც იქა ჰპოვეს ევროპის დიდმა ერებმა,—ყოველივე ესე წარმოუდგენელი იქმნებოდა, რომ ბალკანეთის ერები საუკუნო ყმებად დარჩენილიყვნენ უცხო უღლის ქვეშ. და უდიდესი საქმე ერთა განთავისუფლებისა, გერმანიის მიერ აღსრულებული, ფინლანდიიდან შავ-ზღვამდე! ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს მსოფლიო საისტორიო საქმე ეწინააღმდეგება გერმანიის ინტერესებს? და საზოგადოდ კულტუროსან ერისათვის კავშირი და რამოდენიმედ თვით მტრობაც ენერგიულ, თავისუფალ და შემოქმედებითის ნიჭის მქონე ერებთან განა უფრო ხელსაყრელი არ არის, ვიდრე დამონებულსა და სულით საპყარ ერებთანა? ვინაიდან: „არარაობა გამოვალს მხოლოდ არარაობისაგანა"-ო, სთქვა შექსპირმა. დიახ, სულ ის ცრუ, ძველთაგან ნაანდერძევი სახელმწიფო იდეა გვირევს გზასა და კვალს და ტყუილს რწმენას გვაძლევს, თითქოს ერთის ერის მოსპობა მეორესათვის ხელსაყრელი იყოს!..

ეჭვს გარეშეა, რომ თავისუფალი, ძლიერი და მდიდარი საქართველო უფრო გაუწევს სამსახურს გერმანიის ინტერესებს აღმოსავლეთში, ვიდრე განადგურებული და დამონებული, აუარებელ ღირებულებათა შეძენა შეუძლია გერმანიის ეკონომიურად ძლიერ საქართველოსთან. თანამშრომლობით, საქართველოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გერმანიას დაეხმაროს კავკასიის განუზომელ სიმდიდრეთა დამუშავების საქმეში, თუ იგი თვით იქნება ეკონომიურად განვითარებული. საქართველო გზას გაუკაფავს გერმანიას შუა-აზიისაკენ მხოლოდ მაშინ. როდესაც იგი პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ძლიერი იქმნება და სამეურნეო მოქმედებაში საქმიანობის სულს ჩაიდგამს. კავკასიის ნედლ მასალას—შავ-ქვას, სპილენძს, მატყლს, ბამბას, ნავთს, ხე-ტყესა და სხვ.—ყოველისფერს, რაც გერმანიას აუცილებლად სჭირდება, მხოლოდ მაშინ გამოიტანს უფრო ადვილად გერმანია კავკასიიდან და ამ მასალის ადგილობრივ სამრეწველო საგნებად ქცევაც მხოლოდ მაშინ იქმნება მისთვის უფრო ადვილად შესაძლებელი, როდესაც დამხმარე ქვეყანა თვით დადგება კულტურულ და ეკონომიურ განვითარების მაღალ საფეხურზე. აგრეთვე განვითარებულს ერს უფრო ადვილად შეუძლია შეიგნოს საჭიროება ლოიალურ კავშირისა თავის მფარველთან და მასთან ერთად დაიცვას საერთო პოლიტიკური ინტერესები. ამიტომ უნდა ჰქონდეს გერმანიას დიდი ინტერესი საქართველოს თავისუფლებისადმი. და თუ მალე მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველზედ კავკასიის ერთა დამოუკიდებელ კონფედერაციის შექმნა, რომელიც გერმანიისადმი ისეთივე ლოიალობას გამოიჩენს, როგორსაც საქართველო, მაშინ გერმანიას კიდევ მეტის რწმენითა და იმედით შეუძლია დაემყაროს მისის აღმოსავლეთის პოლიტიკის შედეგთა საფუძველზედ.

ხოლო გერმანიას კიდევ სხვა ინტერესი უნდა ჰქონდეს საქართველოში და კავკასიაში. ინტერესები ბევრად უფრო კეთილშობილი,—ესე არს სულიერი. მეცნიერული.

კავკასიაში არიან ხალხთა მოდგმანი, თვით ქართველები და კავკასიის მთიელნი, რომელთაც არც ერთ დღეს არსებულ მოდგმასთან არა აქვთ გენეტიური ნათესავობა. მათ უფრო წინააზიის უძველეს, დღეს აღარ არსებულ მოდგმებთან უნდა ჰქონდეთ ნათესაობა. ანთროპოლოგიას ჯერ კიდევ დიდი კვლევა-ძიება სჭირდება ამ თავისებურ მოდგმათა პრობლემის გამორკვევისათვის, ვინაიდან რასათა პრობლემა კავკასიისა უდიდეს მსოფლიო ისტორიულ და კულტურულ პრობლემებთან არის შეკავშირებული.

ქართველ ერის თავგადასავალს ქრისტეს წინად მე-X საუკუნიდან დღემდე შეუძლია ადევნოს თვალი ისტორიამ. მისი პირველყოფილი სამშობლო მცირე აზიაში, მისი გამოსვლა მცირე აზიიდან უძველეს დროიდან და მოძრაობა შავი-ზღვის ნაპირებისაკენ, მისი შემოსვლა კავკასიაში, დაარსება მისი სახელმწიფოსი ქრისტეს დაბადებამდის რამდენიმე საუკუნით ადრე, შემდეგ მისი საქრისტიანო კულტურა, მისი მწერლობა და ხელოვნება, რომელთა პირველნი ნაშთნი ქრისტიანობის პირველ საუკუნიდან მოგვეპოვება (ქრისტეს წინად არსებულნი კი ჯერ კიდევ არ არიან აღმოჩენილნი), მისი ეკლესიის საინტერესო ისტორია, განვითარება მისი სახელმწიფოებრივობისა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებისა, მისი ისტორიული ბედი და მისი დამოკიდებულებანი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის კულტურულ ქვეყნებთან,—ესე ყოველი ინტერესით აღსავსე საგანია პოლიტიკურ ისტორიისათვის და კულტურულ ისტორიისათვის, ვინაიდან ყველა პრობლემანი, რომელნიც მეცნიერების წინაშე სდგებიან საქართველოს წარსულ ცხოვრების კვლევის დროს, არიან აგრეთვე მსოფლიო ისტორიისა და კულტურის პრობლემებთან შეკავშირებულნი.

ენა ქართველთა და აგრეთვე ენანი ეგრედწოდებულ კავკასიის ავტოხტონთა აგრეთვე უდიდეს პრობლემას წარმოადგენენ ენათ-მეცნიერებისათვის, მსგავსად იმისა, როგორც მოდგმა კავკასიის ერთა უდიდესი პრობლემა არის ანთროპოლოგიისათვის, რადგანაც კავკასიის ენათა ჯგუფთ აგრეთვე არა აქვსთ არავითარი ნათესაობა არც ერთ დღეს არსებულ ენათა ჯგუფთან. მათ აგრეთვე დღეს უკვე აღარ არსებულ უძველეს კულტურულ ერთა ენათა ჯგუფებთან აქვსთ გენეტიური ნათესაობა, განსაკუთრებით მცირე აზიისა და თვით ეტრურიის უძველეს ხალხთა ენებთან. დღეს კი კოპტური და აბისსინური ფილოლოგია უპირველეს შტოებათ ითვლებიან—თუმცა სრულის სამართლით—გერმანულ ენათ-მეცნიერებისა, ხოლო ქართული—ნამდვილი გერია მისი.

რაც დღეს ქართულ ეროვნულ მუზეუმში და კავკასიის სხვა მუზეუმებში მოგვეპოვება, უმეტეს ნაწილად ჩვენი მიწის ზედა-პირზედ არის ნაპოვნი, გარდა სომეხთა ქალაქ ანისის ნანგრევთა ნაშთებისა, რომელიც ქართველმა მეცნიერმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. მარრმა ამოთხარა. სისტემატური თხრა, თუ ეს საქმე ნამდვილ მეცნიერულ მეთოდებით იქმნება აღსრულებული საქართველოში და კავკასიაში, საუცხოვო ნაყოფით გაამდიდრებს არქეოლოგიის მეცნიერებას. მაგალითად, ქართული და სომხური ხელოვნება ნაკლებად არ არის საინტერესო მეცნიერებისათვის, ვიდრე ქართული და სომხური მწერლობა, და ის მეცნიერნი, რომელთაც სერიოზულად დაიწყეს კვლევა ქართულ და სომხურ ხელოვნების პრობლემათა, მალე დარწმუნდენ, რომ ამ პრობლემათა გადაწყვეტა ძლიერ შუქსა ჰფენს ევროპის ერთა ხელოვნების ისტორიის ზოგიერთ რთულ მოვლენათა.

აგრეთვე ბუნების მეტყველნი—ზოოლოგები, ბოტანიკოსები, მინერალოგები, გეოლოგები და სხვ. ჯერ კიდევ ბევრს მასალასა ჰნახავენ კავკასიაში თავიანთ მეცნიერებისათვის. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეთნოლოგებს, ეთნოგრაფებს, სოციოლოგებსა და ეკონომისტებს უნდა მოვაგონოთ, რომ მთელს ქვეყანაზედ ძვირად მოიპოვება ისეთი ხალხთა მრავალ-ფეროვანობით აღსავსე ქვეყანა, როგორიც არის კავკასია, სადაც ვხედავთ განუზომელ მრავალფეროვანებას სოციალურ აგებულებათა, ზნე-ჩვეულებათა, გარდმოცემათა, ხალხურ მუსიკისა და პოეზიისა, მითოლოგიისა და სარწმუნოებრივ წარმოდგენათა, ეკონომიურ განვითარების საფეხურთა და სხვ. შესწავლა კავკასიის ხალხთა ამ მხრით აუარებელ მასალას მისცემდა სოციალურ მეცნიერებას მის განსაზოგადოებათათვის. ქრისტიანე ქართველობა და სომხობა მათის მდიდარის ისტორიითა და საკმარისად განვითარებულ სულიერ კულტურითა და ეკონომიურ ცხოვრებითა, მაჰმადიანი თათრობა მათის საზოგადოებრივის ცხოვრების განსაკუთრებითის აგებულებითა, მთიელნი მათის თითქმის პირველყოფილ სოციალურ ორგანიზაციითა და სარწმუნოებრივ წარმოდგენებითა,—აქ ადამიანის კულტურულ მდგომარეობათა მთელს რიგს ვხედავთ და შეგვიძლია მათის შესწავლის შემდეგ მთელი პროცესი წარმოვიდგინოთ ადამიანის კულტურისა და საზოგადოებრივობის განვითარებისა მათ უმდაბლეს საფეხურთაგან მოკიდებული უმაღლეს საფეხურამდის.

ბევრი არის უკვე გაკეთებული კავკასიის კვლევისა და შესწავლის მხრით ევროპიელ, რუს, ქართველ და სომეხ მეცნიერთა მიერ. ამ ომის წინად პროფ. მარრმა დაარსა სპეციალური მუზეუმი ანისის ნაშთთა საცავად თვით ქ. ანისში. შემდეგ, ამ ომის დროს, მანვე დაარსა თბილისში ამიერკავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტი. თბილისშივე იმყოფება კაიხნიდან ქართველთა ეროვნული მუზეუმი. კაიხნიდანვე მოქმედებს თბილისში ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სომხური ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება და სხვ. მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამა წლის იანვარში დაარსდა თბილისში ქართული უნივერსიტეტი. შევკრიბეთ ყველა ჩვენი სამეცნიერო ძალები, რომელიც რუსეთში იყო გაბნეული. რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერთაგან თითქმის ყველამ, დამსახურებულმა მცხოვანმა მეცნიერებმაც კი მიაშურეს თბილისს, დასტოვეს რა რუსეთის უნივერსიტეტთა კათედრები, და დღეს ქართულ უნივერსიტეტში ქართულად ჰკითხულობენ ლექციებს. ამით ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას საძირკველი

# მთავრობის წრეებში

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები, ახალ შტატებით სასამართლოს უწყების მოხელეთა დღევანდელი ჯამაგირები დროებით გადიდებულია სიძვირის გამო.

—

იუსტიციის სამინისტროში მუშავდება საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი. პროექტის შემუშავების საქმეს ხელმძღვანელობს მინისტრის ამხანაგი გრ. ივ. გველესიანი, რომელსაც დავალებული აქვს უახლოესი ხელმძღვანელობა იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

—

იუსტიციის სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქცია სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად.

—

საგანგებო სასამართლოს სხდომები დღეს დაიწყება თბილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში.

# დროებითი ზავის პირობები

კოპენჰაგენიდან მოსკოვის გზით მოსული დეპეშის მიხედვით, რომელსაც ჯერ კიდევ შემოწმება სჭირია, შეთანხმების სახელმწიფოებს გერმანიისთვის დროებითი ზავის პირობები წარუდგენია: გერმანიამ დაუყონებლივ ჯარი უნდა გაიყვანოს ელზას-ლოტარინგიიდან, ფრანგები დაიჭერენ მეცსა და შტრასბურგს. გერმანია სთმობს თავის სამხედრო ფლოტს, ინგლისელები იჭერენ ჰელგოლანდის კუნძულს, ხოლო ამერიკელები რეინის ხიდებს. ესსენის თოფხანები შეთანხმების სახელმწიფოების კონტროლს ექვემდებარებიან.

# ქრონიკა

**ცენტრალ სასურსათო საბჭომ** შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება საქონლის გადაზიდვის შესახებ. დადგენილებები მოკლე ხანში გამოვა.

**ნაფიცი ვექილ თაიროვის განთავისუფლება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებისთვის დაპატიმრებული ნაფიცი ვექილი თაიროვი გაანთავისუფლეს.

**კუჩენბახის მამულების დარბევის გამო.** შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-კრესმა, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს მოწვეული კომისია ბორჩალოს მაზრაში ფონ-კუჩენბახის მამულში დატაცებულ საქონლის ღირებულების გამოსარკვევად. კომისიაში შევლენ ადგილობრივ თათართა, გერმანელთა და ქართველთა წარმომადგენლები.

**სასტუმრო „ნოე"-ს გაძარცვა.** გიორგობისთვის 4 სასტუმრო „ნოე"-ში შევიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და მდგმურებს რამდენიმე ათასი მანეთის განძეულობა და ფული წაართვეს. მძარცველები ყველანი დააპატიმრეს.

**პალტოების გატაცება.** ეტარიანის საცეკვაო კლასში შეიჭრა რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი, ასტეხეს სროლა, გაიტაცეს პალტოები და მიიმალნენ.

**ფოთიდან** თურქიანი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს სთხოვს ფოთის ნავთსადგურზე სომხები არ გამოუშვას, რადგანაც ფოთზე აუარებელი რუსობა მიდის რუსეთში.

**ტელეფონის მავთულების დატაცება** მანგლისსა და თბილისს შუა ტელეფონის მავთულებს ადგილობრივი მცხოვრებლები იტაცებენ.

**წისქვილის რეკვიზიცია.** ცენტრალ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარემ რდიშვილმა გზათა მიმოსვლის მინისტრს აცნობა, რომ სოფ. კაჭრეთში მან რეკვიზიცია უყო აკოფიანის წისქვილს სოფ. ფხოველის ნავთიან ადგილებზე მომუშავეთათვის ხორბლის დასაფქველად.

**ნავთი.** საზოგადოება „რუნეტო"-მ მთავრობას წინადადება მისცა მის საშუალებით შეიძინოს დიდი ძალი ნავთი. მთავრობამ დაადგინა წინადადება განიხილოს.

**კერძო გიმნაზიების რევიზია.** ამ დღეებში დაიწყება თბილისის ყველა კერძო გიმნაზიათა რევიზია. სარევიზიოდ მთავრობის მიერ დანიშნულია განსაკუთრებული კომისია.

**თბილისის პოლიტეხნიკუმის** ეკონომიური განყოფილება უკვე გაიხსნა. მსმენელებად არიან ჩრდილო და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულნიც. თხოვნების მიღება ამ დღეებში შესწყდება.

**ოდესიდან ჩამოსულა** ადგილობრივ ქართველთა საზოგადოების მიერ გამოგზავნილი საგანგებო შიკრივი გრ. დალაქიშვილი სხვა და სხვა დავალებით და უკანვე ოდესაში ბრუნდება კიევით. გიორგ. 9-ს ვისაც რამე დავალება აქვს ან წერილი წასაღები კიევსა და ადესაში. გრ. დალაქიშვილის ნახვა შეუძლიან „სახალხო საქმის" რედაქციაში, სასახლის ქ. № 6, ყოველ დღე დილის 11—1 საათამდე.

უკვე ჩაეყარა. და ჩვენთვის ქართულად მეცნიერების კულტურაც არ არის ახალი საქმე. საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკის დროიდან დღემდე კულტუროსან ერთა სულიერ მოძრაობას :განუწყვეტლივ ვადევნებთ თვალყურსა და შეძლებისდაგვარად ჩვენს ენაზედ ვიკვლევთ იმავე პრობლემებს, რომელიც აინტერესებდა ძველად და აინტერესებს დღეს ევროპის ფილოსოფიასა და მეცნიერებას. ხოლო ეხლა-კი იმედი გვაქვს, რომ ქართულ უნივერსიტეტში გერმანელთა დახმარებითა და გერმანელ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობის წყალობით ქართულ მეცნიერებას სასურველ ხარისხამდე ავიყვანთ და აგრეთვე მალე მოვისმენთ თბილისის უნივერსიტეტში გერმანელ პროფესორთა ლექციებს ჯერ გერმანულად და რამოდენიმე წლის შემდეგ კი აგრეთვე ქართულად. და ეს იქმნება საუკეთესო საშუალება იმ კავშირის განმტკიცებისა, რომელიც დღეს არსებობს გერმანიასა და საქართველოს შორის, ვინაიდან საერთო სულიერი ინტერესი კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს ორ კულტურულ ერთა შორის, ვიდრე წმინდა ნივთიერი.

ბატონებო! ჩვენი ისტორიული ბედი, თვით ტრაგიზმი ჩვენის არსებობისა ის იყო, რომ მიუხედავად ჩვენის აზიაში ყოფნისა და მიუხედავად აღმოსავლეთის კულტურის დიდი გავლენისა მთელს ჩვენს არსებაზედ, არასოდეს არა გვწადდა აღმოსავლეთის ერი ვყოფილიყავით, იმ ჟამიდან მოკიდებული, ოდეს შევიმოსეთ ქრისტეს სარწმუნოებითა და სარწმუნოების საფუძველზედ აღვაგეთ ჩვენი ეროვნული კულტურა. ამ სარწმუნოებისა და საქრისტიანო ეროვნულ კულტურის დასაცავად, აღმოსავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, დავბერდით და დავილალეთ. აუარებელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლამ გამოგვილია ბოლოს და ბოლოს ძალა და გვაიძულა, რომ რუსებისათვის გაგვეღო დარიალის კარი და გვეხმო იგინი ჩვენდა დასახმარებლად, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ბედის გადაწყვეტის თვით უკანასკნელ წუთშიაც კი სანატრელი არ იყვნენ ჩვენთვის რუსები. პრუსიაში და ავსტრიაში გამოვაგზავნეთ მაშინ მოციქულები, რომ აქ გვენახა შემწეობა. ის მოციქულები გზაში დაიღუპნენ—სად და როგორ, ამაზედ აქ არას ვიტყვით—და ვერ მოაღწიეს აქამდის. კარი დაგვეხშო ამგვარად, ევროპისაკენ გამოსავალი. მხოლოდ რუსეთს შეეძლო ჩვენი ხსნა,—სხვა გზა არა გვქონდა,—და მასაც შევუკარით ჩვენ მაშინ ის ცნობილნი ხელშეკრულებანი, რომელნიც რუსეთმა შემდეგ დაარღვია, და ჩვენ შემწეთვე დაგვიმონავეს ჩვენ! ხოლო დღეს ბედმა კვლავ გაგვანთავისუფლა რუსთაგან და შეგვაკავშირა სწორედ იმ ერებთან, რომელთაც ასი წლის წინ შველად ვიხმობდით საქართველოში. ბედი გვეწეოდა დასავლეთისაკენ საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენი გონება, თვით ჩვენი ინსტიქტი გვეუბნებოდა ყოველთვის და გვეუბნება დღესაც, რომ ხსნა ჩვენი არა არს არც აღმოსავლეთში, არც ჩრდილოეთში, არამედ დასავლეთში, და ეხლა, ოდეს საბოლოოდ სანატრელ ადგილს მივაღწიეთ, რომ აქ მოვნახოთ საფუძველი თავის დაცვისა და ხანგრძლივ მშვიდობიანობის დამყარებისა ჩვენში, რომ აქ განვამტკიცოთ საუკუნო კავშირი ჩვენი დასავლეთთან, ვუსურვოთ საქართველოს, რომელმაც ასსურთა ჟამიდან არ იცის, რა არს მოსვენება, რომ მას კვლავ აღარასოდეს ეხილოს მტერთა შემოსევანი და გერმანიისაგან ზურგ-გამაგრებულს, საკუთარ კეთილდღეობისათვის და მისის დიდის მოკავშირის სასარგებლოდაც, კვლავ ნაყოფიერად განეგრძოს ეროვნულ-კულტურული მოქმედება თვისი.

ჩვენდა სასიხარულოდ, სახელმწიფო სეკრეტრის ფ. კიულმანის უკანასკნელად რეიხსტაგში წარმოთქმულმა სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკური ბედი მართლაც სასურველად იქმნება გადაწყვეტილი.

# ბათუმის ამბები

გუშინ-წინ ბათომიდან ჩამოვიდა საქველმოქმედო საზოგად. განყოფილ. მდივანი ბ. ის. თევზაძე, მასთან ერთად ჩამოვიდნენ ცნობილი ემიგრანტი ასლან-ბეგ აბაშიძე და სამი ქართველი მაჰმადიანი. როგორც გადმოგვცეს, აჭარლები ქართველებს მოუთმენლად მოელიან. მოღალატე ჯემილ-ბეგი ბათუმში არ არის, მისი ძმა თემურ-ბეგი ცდილობს აბაშიძეებს მოურიგდეს და მით თავის თანამოძმეთა რისხვას ასცდეს, მაგრამ აჭარლები მას ახლო არ იკარებენ. აბაშიძეებს დიდი ნდობა-პატივისცემა დაუმსახურებიათ. აჭარლებს გადაუწყვეტიათ მიიღონ ქართველების სრული მფარველობა და პატივება ითხოვონ.

ბათუმში დარჩენილა 600 კაცამდე რუსი აფიცრობა, რომლებიც სცდილობენ ალექსეევის მოხალისეთა რაზმის სახელით ბათუმში გამოაცხადონ რუსის ბატონობა, ამას ხელს უწყობს ჯემალ-ბეგის პარტია.

ოსმალოს ტყვეობიდან დაბრუნებულა ქალაქის თვითმმართველობის წევრი ჰასან-ეფენდი ლორთქიფანიძე და ქიქავა. (ე.).

# ბრძოლის ველი

**ბერლინი.** 4 გიორ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. გენტის ჩრდილოეთით ჩვენი ახალი პოზიციების წინ სადარაჯოების ბრძოლა იყო. აქ არხთან და ქალაქის განაპირას, დასავლეთის მხრით, მტერთან ბრძოლა გვაქვს. ვალონსიენის აღმოსავლეთით ასპარეზი რამოდენიმედ უკან დავსწიეთ. სალამოთი მტერი ონიესა,—ჟენსიენსა და ვალლენპოლთან იყო. ლეკუსნუას და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა. ლანდრესის დასავლეთით კონტრიერიშით მტრის განახლებული იერიშები შევაჩერეთ.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალვიციის ლაშქარი. უაზის და ენის შუა სალამოთი საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, ხოლო ბონონთან და ვიზის ჩრდილოეთით გამძაფრდა. მაასის დასავლეთით, რამოდენიმედ უკან დავიხიეთ, რასაც კავშირი აქვს ენის აღმოსავლეთით გუშინ ჩვენ უკან დახევასთან. ლეშესნის სამხრეთით და კჰპრიესთან მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. სომმათო ბელვალს შუა ამერიკელების საიერიშოდ წამოსული ჯარი ბელვილის ჩრდილოეთით ტყეში შევაჩერეთ. მაასის აღმოსავლეთის მხარეზე მტრის შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაასის და მოზელის შუა მტერს იერიშები მოაქვს. მოზელის დასავლეთით ჩვენ დავტოვეთ თხრილების ის პატარა ნაწილებიც, რომლებიც ეკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენ ხელში იყო დარჩენილი.

**ბერლინი.** 4 გიორ. სალამოს სამხედრო ცნობა. უაზის და შელდას შუა ბრძოლაა. 60 კილომ. ასპარესზე ინგლისელების და ფრანგების განახლებულმა ცდამ გაერღვიათ ასპარეზი, უნაყოფოდ ჩაიარა. ლე-კესნუასა და ანდრეს შუა მოტანილი იერიში ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერა. დანარჩენ ასპარეზზე მტრის იერიშები ჩვენმა მოწინავე ძალამ შეაჩერა. მაასის დასავლეთით, დვიელეცკის ტყეში ბრძოლა გრძელდება.

# ავსტრიის დაშლა

## გერმანულ-ავსტრიის სახელმწიფო საბჭოს მოწოდება.

**გერმანული პრესა.** 3 გიორგ. გერმანულ-ავსტრიის სახელმწიფო საბჭომ ვენაში ავსტრიის გერმანელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანულ ავსტრიისთვის შემუშავებულია დროებითი კონსტიტუცია და არჩეულია სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახლა გერმანულ-ავსტრიის მმართველობას თავის ხელში ღებულობს. სახელმწიფო საბჭო დაუყოვნებლივ ნიშნავს გერმანულ-ავსტრიის პირველ მთავრობას, რომელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმოვებს მომავალში, გერმანულ-ავსტრიის მართგა-გამგეობა მოვალეობათ მიიღებს და გერმანულ-ავსტრიის ჯარის მთავარ-სარდლობას გასწევს. გერმანულ ავსტრიის მთავრობა გერმანულ ოლქებში სრულ მფარველობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობებს და იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა ეროვნებათა მთავრობებიც ასევე გაუწევენ მფარველობას გერმანელთა უმცირესობას სლავიანურ ოლქებში. საბჭომ მოუწოდა ავსტრიის გერმანელებს სიმშვიდე დაიცვან. თვით დისციპლინა განავითაროს და მოერიდოს ყველა იმას რაც ხელს შეუშლის გერმანულ-ავსტრიაში ძალა უფლების გადაცემას და ზავის ჩამოგდებას, რომელიც უნდა შეკრას გერმანულმა სახალხო მთავრობამ გერმანიის იმპერიის თანხმობით.

## დეპუტატების საბჭო

ვენაში შესდგა ჯარის კაცთა დეპუტატების დროებითი საბჭო.

## გერმანულ ავსტრიული ლაშქარი

გუშინ დაიწყო მოლაპარაკება გერმანულ ავსტრიულ ლაშქრის შესახებ. აღმოსაელეთ გალიციაში პოლონელთა და უკრაინელთა შორის ბრძოლის შესახებ ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ 1 გიორგობისთვეს, ღამე ქალაქი ლემბერგი გერმანულ ივსტრიულ და უკრაინულ ეროვნებათა პოლკებმა აიღეს. რადგანაც ქალაქის წყობრივ ევაკუაცია უკვე დაწყობილი იყო, მეციხოვნე ჯარის წინააღმდეგობა შეუძლებელი დარჩა. გენერალ კუხალსკის ჯარზე იერიში მიიტანეს მდ. სანის მეორე ნაპირიდან წინეთ ზარანიკაზე მდგარმა ჯარებმა. გონვებთან ერთი პოლკი გენერალ პუხალსკის გადაუდგა. პერემიშლზე შემოტევას პუხალსკი მთელი დღე იგერიებდა იგი ყოფილ ლეგიონერებს და სტუდენტთა ჯგუფს სათავეში ედგა. რკინის გზის ხიდი მდ. სანზე აფეთქებულია, პერემიშლი რუსინების ხელშია. „გოდინა პოლკას" ცნობით ავსტრიის განსაკუთრებული არმია გენერ. ხაუსკის ხელმძღვანელობით, სადაც ჰერცგერცოგი ვილხოლმიც იმყოფება რავა-რუსკაზე და ზამოკზე შეტევას განაგრძობენ.

საქსონიის სეიმის მეორე პალატამ 75 ხმით სამი დამოუკიდ. ზელ ს. დ. წინააღმდეგ მიიღო პარლამენტის მთავრობის კანონ-პროექტი. მინისტრებათ დაინიშნენ სოც.-ფრესდორგი, სეიმის წევრი ხელდი, სახალხო პარტიის წევრი ვენტერი და ეროვნულ ლიბერალი ნიცკე.

## ბოლშევიკების მოწოდება ავსტრიელებისადმი.

**მოსკოვი,** 4 გიორგ. ყველას სრ. რ. ც. ალ. კომიტეტმა, სახალხო კომისართა საბჭომ და მოსკოვის საბჭოს ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატისადმი მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც სალამი ეგზავნება ყოფილ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის მუშებს, ჯარის კაცებს და გლეხებს. რუსეთის პროლეტარიატს სიხარულით გული უჩქროლავს, როდესაც მას ცნობა მოსდის, რომ ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატმა ხელში აიღო ზავის საქმე. აცხადებს სოციალისტურ რესპუბლიკას და დეპუტატთა საბჭოებს ამყარებს. როდესაც გერმანელი, ჩეხელი, კროატები და უნგრელი მუშები: ჯარის კაცნი და გლეხები ძალა-უფლებას ხელში აიღებენ დაასრულებენ ეროვნულ განთავისუფლების საქმეს, მაშინ ისინი შეჰკრავენ მტკიცე კავშირს და გაერთიანებულ ძალებით დაამარცხებენ კაპიტალისტებს. დამშეული თქვენი მუშები პურს მიიღებენ უნგრეთის გლეხებისაგან. შრომის პროდუქტების სამაგიეროდ, ავსტრიის მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ნებას არ მისცემენ თავის ბურჟუაზიას, ინგლის-ამერიკის კაპიტალის განსავითარებლად. ინგლის-ამერიკის და საფრანგეთის კაპიტალი ისეთივე მტერია მუშათა კლასისთვის, როგორც გერმანიის კაპიტალი. თუ პირველმა გაიმარჯვა ის უზარმაზარ კონტრიბუციებს დაადებს ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატს ასეთი მომენტი უმოწყალო ომს მხოლოდ რუსეთის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ მიმართავდა რათა აიძულონ ისინი რუსეთის ბურჟუაზიის და ცარიზმის ვალები გადაიხადონ. ასეთი დახმარება, რომელსაც გაუწევს ამერიკის კაპიტალი დაპირებულ პურის მაგივრად, ავსტრია-ჰუნგრეთის პროლეტარიატს შეუძლია დახმარების და პურის მიღება მხოლოდ რუსეთის მუშათაგან, რომლებმაც ძალა-უფლება ხელში აიღეს და მძლავრი, წითელი ლაშქარი შეჰქმნეს. მშრომელ მასსების განთავისუფლება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციით შეიძლება. მთელი წლის განმავლობაში რუსეთის პროლეტარიატი მარტოდ მარტო იცავდა თავის ძალა-უფლებას. ის მოელოდა დახმარებას დასავლეთ ევროპის ამხანაგებიდან. ეს დახმარება უკვე მოდის. გაუმარჯოს ავსტრიის ხალხთა თავისუფლებას, გაუმარჯოს ავსტრია-ჰუნგრეთის დეპუტატთა საბჭოს, გაუმარჯოს რუსეთის საბჭოსთან კავშირს. მოსკოვის პროლეტარიატი გულმოდგინეთ ადევნებს თვალ-ყურს, თუ როგორ იწვის ყოფილი ავსტრია. ცნობებს ფხიზლად ვისმენთ. ხალხი ხარობს, როდესაც მას ესმის, რომ ვენას დ ბუდაპეშტში რევოლუცია იმ ფაზისებში შევიდა, რომელსაც დიდიხანია მოელოდა ჩვენი და რომელნიც უკვე განვლო რუსეთის რევოლიუციონურმა ავანგარდმა. დღეს, მოსკოვის პროლეტარიატმა, რაიონების მიხედვით დაყოფილმა, მოსკოვის საბჭოების წინ დიდი დემონსტრაცია გამართა. დიდია მებრძოლთა სიხარული, როდესაც ისინი ხედავენ, რომ მათთან ერთად პირველ რიგში სდგებიან მათი ამხანაგები, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ. ძველი მებრძოლის ფრიდრიხ ადლერის განთავისუფლების გამო მის პატივსაცემლად დღეს მიტინგები გაიმართა. დღეს გახსნილ იქმნა რობესპიერის, შევჩენკოს, კალიუცკის და ნიკიტინის ძეგლები.

# უცხოეთის ამბები

## ოსმალეთი და დრ. ზავის პირობები.

**სადგური კორნოფორნი.** (საქ. დეპ. სააგენტო) ოსმალებმა მიიღეს დროებითი ზავის პირობები: არმიის დაუყოვნებლივი სრული დემობილიზაცია, ყველა სამხედრო გემების მოკავშირეებისათვის გადაცემა.

## პოლონეთის სარეგენტო საბჭო.

**ბერლინი.** პოლონეთის სარეგენტო საბჭომ გამოაქვეყნა საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონი.

### ოსმალეთი

საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა პალატაში განაცხადა, რომ ოსმალეთთან შეკრული დროებითი ზავი უპირველესად ყოვლისა ჰგულისხმობს მოკავშირეთა ესკადრის შავ ზღვაში თავისუფალ შესვლას, დარდანელის დ ბოსფორის სიმაგრეთა დაჭერას და აგრეთვე სამხედრო ტყვეების დაბრუნებას სამშობლოში. დროებით ზავი ძალაში შევიდა ხუთშაბათს შუადღისას. ინგლისის გაზ. „ივნინგ ნიუსის" გადმოცემის თანახმად ყოველ წუთს ელიან ინგლისს საზღვაო ძალებით სტამბოლის დაჭერას.

ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, რომ კაპიტულიაციის პირობების თანახმად ინგლისელებს უფლება ეძლევათ თავის ჯარები შეიყვანოს ოსმალეთის ოლქებში. გაზეთები ამას დიდ მნიშვნელობას აწერენ იმ აზრით, რომ ამით გერმანიას გავლენას მოუსპობენ რუმინიასა და უკრაინაში.

### ინგლისის ყოველდღიური სამხედრო ხარჯი

„მ." ლონდონიდან იტყობინება, რომ ინგლისის ყოველდღიური სამხედრო გასავალი საშუალოდ 174.425.000 ფრანკს უდრის.

# ქალაქის საბჭო

### გიორგობისთვის 4-ს სხდომა

სხდომა იხსნება **ალ. ლომთათიძის** თავმჯდომარეობით.

საბჭო რიგს გარეშე თათბირობს საარჩევნო კომისიის ფუნქციებზე.

მიღებულ იქმნა საარჩევნო კომისიის დადგენილება, რომ მის მუშაობას არჩევნების მომზადების ხასიათი ჰქონდეს.

საბჭო გადადის დღიურ წესრიგში მდგარ საკითხების განხილვაზე.

გეპშტეინის მოხსენებით საბჭო მუხლობრივ იხილავს გამგეობის მიერ შემუშავებულ წესრიგს კერძო მესაკუთრეთა უძრავ ქონების ქალაქის სასარგებლოდ ძალით ჩამორთმევისას. წესრიგი შეიცავს 9 მუხლს.

პროექტი განსახილველად იურიდიულ კომისიას გადაეცა იმ პირობით, რომ იგი შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს.

დღის წესრიგში მეორე ადგილზე აღნიშნულია გამგეობის მოხსენება იურიდიულ კომისიის დასკვნით ბინებზე და სხვა შენობებზე განსაზღვრულ ფასების დაწესების შესახებ რუსეთის თის დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებში შესწორების შეტანის შესახებ.

მომხსენებელია **გეპშტეინი.** პროექტი შეიცავს 67 მუხლს.

საბჭო გადადის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

**იაგჯიანი** (დაშნ.) წინადადებას იძლევა კანონპროექტის ძალა არ გავრცელდეს საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოებებზე, რადგანაც, ამბობს ორატორი, თუმცა ესენიც ძვირად აქირავებენ შენობებს, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა გვეჩოთირონ, რადგანაც ამ გზით აღებული მეტი ფული სიმპატიურ მიზნით იხარჯებაო.

**გოთუა** (ერ. დ.) ამბობს, რომ მძიმე პირობებში ბინის დამქირავებლებს სწორედ ეს საგანმანათებლო და საქველ-მოქმედო საზოგადოებები აყენებენ და უმოწყალო სპეკულიაციას ეწევა.

**გეპშტეინი.** იაგჯიანის საპასუხოდ: ცუდი საქველ-მოქმედო საზოგადოებიის საზოგადოებები, რომლებმაც სპეკულიაციით და ღარიბ ხალხის გატყავებით აღებული ფული უნდა მოიხმაროს საქველ-მოქმედო მიზნით.

**იაგჯიანის** წინადადება უარყოფილ იქნა.

კანონპროექტი ზოგი მუხლების გამოტოვებით და ზოგის მცირე შესწორებით მიღებულ იქნა.

11 საათის შემდეგ საბჭო შეკითხვების და კითხვების განხილვაზე გადადის.

თავმჯდომარე კითხულობს ხანდანოვის (კ.-დ.) შეკითხვას: 1) იცის თუ არა ქალაქის გამგეობამ, რომ მილიციის უფროსმა გამოსცა ბრძანება მშვიდობიან მცხოვრებლების იარაღის აყრის შესახებ, 2) თუ იცის სთვლის თუ არა მას მიზან შეწონილად, 3) სცნობს თუ არა შესაწყნარებლად, რომ ვისაც იარაღი აღმოაჩნდება 6 თვით დასჯიან და მე-4) ურუშაძეს უფლება აქვს მილიციის უფროსის სახელი დაირქვას მაშინ, როდესაც მილიციის უფროსს ქალაქის საბჭო ირჩევდეს და ურუშაძე კი არ არის არჩეული?

საბჭომ დაადგინა ეს შეკითხვა წესრიგში იქნას შეტანილი და ისე იქნეს განსილული.

**ხანდანოვი** წინადადებას იძლევა, რადგანაც წესრიგში შეტანილ შეკითხვების განხილვა გვიანდება დანიშნულ იქნეს ოთხშაბათობით საბჭოს სხდომები შეკითხვების განსახილველად.

საბჭომ ხმის უმეტესობით წინადადება უარჰყო.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმოსანს გოთუას თავისი შეკითხვები უკან მიაქვს, რადგანაც იმ ხნის განმავლობაში, რომელიც დღიდან შეკითხვის შეტანიდან გავიდა, იგი უკვე დაკმაყოფილდა იმ განმარტებით, რომელსაც საბჭოში ჰქონდათ ადგილი სხა საკითხების განხილვის დროს.

**პოპოვი** (ს.-დ.) მოითხოვს, რომ გოთუას შეკითხვები უეჭველად განიხილოს საბჭომ და მსჯავრი დასდოს გოთუას ბრალდებებს, რომელთაც მისი შეკითხვები შეიცავსო.

წინადადება საბჭომ უარჰყო.

12 საათზე სხდომა დაიხურა. **შ.**

# კავკასიის საერთაშორისო კონფერენციისთვის.

სომხური პრესა უნდო თვალით უყურებს საქართველოს რესპუბლიკის მიერ კავკასიის სახელმწიფოთა შორის შეთანხმებისა და მათი არსებობის განმტკიცებისთვის გადადგმულს ნაბიჯს, რაც გამოიხატა 10 გიორგობისთვის თბილისში კავკასიის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაში: მოწვევის ბარათები დაეგზავნა სომხეთისა, ადერბეიჯანისა და ჩრდ. კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობებს რომელთაც ორ-ორი წარმომადგენელი უნდა გამოგზავნონ ხსენებულ ყრილობაზე. ამასთანავე საქართველოს მთავრობამ წინასწარ შემუშავებული ყრილობის პროგრამაც აცნობა მეზობლებს. პროგრამა შეიცავს ისეთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, რომელთა გადაჭრა აუცილებელია მომავალ მსოფლიო საერთაშორისო კონგრესამდე, რათა ამ საერთაშორისო ტრიბუნალმა დაჰკრას ბეჭედი კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და უზრუნველჰყოს მათი თავისუფალი არსებობა. ამისათვის საჭიროა ჯერ თვით იცნონ ერთმანეთის დამოუკიდებლობა კავკასიის სახელმწიფოებმა და ერთგვარი შეთანხმებაც ჰქონდეთ ორიენტაციის შესახებ. ამ ფრიად მნიშვნელოვან და ყველა კავკასიის ერისთვის (რომელიც უკვე გამოერკვა პოლიტიკური დამოუკიდებლობის სახით მაშასადამე. სომხეთისთვისაც) ფრიად სასარგებლო და აუცილებელი საქმის დაწყებისათვის საქართველოს მთავრობას მხოლოდ მადლობა ეთქმის და არა დაუმსახურებელი საყვედური, მას დახმარება უნდა და არა ხელის შეშლა.

სომხური პრესა. უკედ დაშნაკცაკანური პრესა კი მრისხანებს, და ამტკიცებს რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რიგიანად ვერ მოიქცა, რომ სხვა სახელმწიფოების დაუკითხავად მოიწვია ყრილობაო, მისგან შედგენილი პროგრამა არ ვარგა, შევსება უნდაო, ამნაირად მოწვეული კონფერენცია მიზანს ვერ მიაღწევსო და სხვ...

რას ნიშნავს ეს? კონფერენციის ბოიკოტს? ყოველ შემთხვევაში ძალიან წააგავს ამ ბოიკოტის ქადაგებას. აქედან კი ორი დასკვნა გამოდის: ერთი რომ დაშნაკელები არ გამორკვეულან პოლიტიკურ დამოუკიდებლობის სახით. არამედ კიდევ უცხოელთა ოთურმისთვის ამზადებენ ზურგს; მეორე—რადგან თვითონ არ ჰსურთ დამოუკიდებლობა, სხვისთვისაც შეშურებით და ლობე-ყორეს ედებიან, თუმცა აშკარად ვერ უარყოფენ კონფერენციის საჭიროებას, მაგრამ სცდილობენ სახელი გაუტეხონ და ამნაირად თუ განზრახული კონფერენცია არ შესდგა ან იქ სასურველი კონტაქტი არ დამყარდა მოწვეულ სახელმწიფოთა შორის, რასაც საარსებო მნიშვნელობა აქვს ყველა ამ სახელმწიფოთათვის და მათში მობინადრე ერთათვის, ამის პასუხის მგებლობა ისტორიის წინაშე უპირველესად ყოვლისა დაშნაკცაკანელებმა უნდა იტვირთონ, რომელნიც სიტყვით სულ საერთაშორისო სოლიდარობასა და თანხმობაზე ლაპარაკობენ, საქმით კი მხოლოდ საერთაშორისო შუღლსა და მტრობას სთესვენ.

რას ბრძანებენ ამ პარტიის ოფიციალური ორგანოები:

„ჰორიზონის“ (№ 224, 1 გიორგ.) აზრით საქართველოს რესპუბლიკის ეს ნაბიჯი ნაყოფია საერთაშორისო ძალთა განწყობილების შეცვლისა (ალბად მისი აზრით საქართველოს საზარალოდ) თორემო „რატომ აგივე მთავრობა ამგვარი წინადადებით არ გამოვიდა იმ დროს, როცა მისი მდგომარეობა მის მეზობლებთან შედარებით იმდენად მტკიცე იყო, და როცა ამ უკანასკნელთ (მეზობელთ) ესოდენ ესაჭიროებოდა ურთიერთ დახმარების და მიშველების ხმა“.

მაგრამ უმთავრესი ეს კი არ არის —განაგრძობს გაზეთი, არამედ ის რომ „საქართველოს მთავრობამ კონფერენციის მიერ განსახილველ საკითხთა სიიდან გამოუშვა ერთი საკითხი, რომელიც ყველაზე უმნიშვნელოვანესია დღეს და რომელზედაც დამოკიდებულია ყველა დანარჩენი საკითხების გადაჭრა“.

ეს საკითხია: „ვის მხრეზე უნდა დადგეს კონფერენცია? რუსეთისაზე სხვების წინააღმდეგ თუ სხვებისაზე რუსეთის წინააღმდეგ“.

ამ საკითხს მით მეტ მნიშვნელობას აწერს გაზეთი, რომ „ჩვენ ქვეყანაში (sic) **ამიერკავკასია** (ხაზი „ჰორიზონნისაა) არ ყოფილა **რუსეთამდე** და **ურუსეთოდ** (ხაზი „ჰორ.“)

**ამიერკავკასია** უაღრესად რუსული იდეაა და რუსული პოლიტიკური აზრის წარმონაშობი ხოლო გეოგრაფიულად მისი ეხლანდელი საზღვრები მხოლოდ რუსეთის ბატონობის წყალობით მიიღო და დღემდისაც იმავე რუსეთის წყალობით დაიცა (sic).

ყველა ამას ვიღებთ მხედველობაში და ვფიქრობთ რომ, ამ საკითხზე პასუხის გაუცემლად მსგავს კონფერენციებს შეუძლებელია რაიმე აზრი და მნიშვნელობა ექმნეს, როგორც ჩვენს (sic) ისე უცხოელთა თვალში.

ჩვენთვის გაუგებარი რჩება კიდევ თუ რა კავშირია მთიულთა და ამიერ კავკასიის შორის და ეს რომელ მთიელ ერთა რესპუბლიკაზე ლაპარაკობს საქართველოს მთავრობა, როცა რომ ასეთი რესპუბლიკა ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებობს რამდენადაც ჩვენ ვიცით (sic)“.

ყველა ამის შემდეგ „ჰორიზონი“ მაინც „გულითად სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის ერთა დაახლოვებასა და საურთიერთო დაცვის იდეას“, მაგრამ ამის განსახორციელებლად ჯერ მომწიფებული არა ვართო: „მეტი გულწრფელობა და პირდაპირობაა საჭიროვო“ (sic) ოღონდაც, მეპრესე).

დაშნაკელების მეორე ორგანო „აშხატავორი“ (№ 171, 1 გიორგ.) პირიდან დორბლებსა ჰყრის, როგორ გაბედა საქართველოს რესპ. საგარეო საქმეთა მინისტრმა მეზობლების დაუკითხავად კონფერენციის მოწვევაო და ვრცელ ხატაციას უკითხავს ბ. მინისტრს იმის შესახებ „სწორი სწორთან“ ისე არ უნდა ლაპარაკობდეს, როგორც ის გამოელაპარაკა მეზობელ სახელმწიფოთა მთავრობებს (მგონია ყველა მეზობელ სახელმწიფოებს „აშხატავორისთვის“ არ მიუნდვიათ თავისი ინტერესების და თავმოყვარეობის დაცვა?; მეპრესე) და ჩამოუთვლის თუ რა და რა ფორმალური შეცდომა ჩაიდინა მან.., „სოლიდარობაც და თანხმობის კონფერენციის იდეა, რასაკვირველია, კარგი იდეაა, მაგრამ განა დღესაც, ყველა იმის შემდეგ რაც განიცადა და იხილა ამიერკავკასიის და კერძოდ სომხეთის დემოკრატიამ სწორედ ადერბეიჯანისა და საქართველოს ხელმძღვანელთა ვიწრო ნაციონალისტურ პოლიტიკის წყალობით, —ნუ თუ ყოველივე ამის შემდეგაც ცხადი არ უნდა იყოს, რომ ასეთი „დიპლომატიური“ ნაბიჯებით შეუძლებელია სასურველ „სოლიდარობისა და თანხმობის“ მიღწევა.

საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობამ დღემდისაც ბევრი ცოდვა ჩაიდინეს სომხის ერის წინაშე და დღესაც იტანენ ამ ცოდვას...

ჯერ უნდა მოისპოს ეს ვიწრო ნაციონალისტური და ანტი-სომხური პოლიტიკა... უნდა მიეცეს სომხის რესპუბლიკას „სოლიდარობასა და თანხმობის ნამდვილი და გულწრფელი გარანტიები...

აი, რატომ არ იქნება გამოსწორებული კონფერენციის მოწვევის ეს ფორმალური და ფაქტიური შეცდომები,—ის უსარგებლო და უაზრო დიპლომატიური თამაში იქნება“...

სომხური სახალხო პარტიის ორგანო „ჟოღოვურდი ძაინი“ (№ 48, 31 ღვინ.) იმავე საკითხზე უფრო საქმიანის კილოთი სწერს:

საქართველოს მთავრობის წინადადება მეტად დროს შესაფერია და უეჭველად დიდის ყურადღებით მიღებულ იქნება ჩვენი ერების ყველა შეგნებულ ელემენტებისაგან. კერძოდ სომხური სახალხო პარტია თავის წმინდა მოვალეობად ჩასთვლის ამ კონფერენციის იდეის გავრცელებას და დაცვას სომხის ერში.

ეს ყრილობა პირველი ნაბიჯი იქნება კავკასიის ერთა თანხმობისა და ერთობის საქმეში, რასაც ჩვენ მუდამ ვიცავდით.

მესამე გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებულ საკითხთაგან კონფერენციას შეუძლია გადასჭრას მხოლოდ ორი პირველი, რომელნიც ეხებიან ამ კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთობის განმტკიცებას; ხოლო ორი უკანასკნელი საკითხი რომელიც გარეშე ძალებთან დამოკიდებულებას ეხება, — ვერ გადაიჭრება რადგან ჩვენს სახელმწიფოებსა და და ერებში სხვა და სხვა „ორიენტაციებიაო“...

„ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ყოველ შემთხვევაში ეს კონფერენცია სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, როგორც ჩვენ პატარა სახელმწიფოთა ერთმანეთთან დაახლოვების სერიოზული და მნიშვნელოვანი იარაღი“.

## სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია

საქართველოს საკათალიკოსო საბჭოში ამ ჟამად აღძრულია საკითხი სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ. არც ერთს ტიპის სასწავლებელში განათლების საქმე იმდენად უწესრიგოდ არ იყო დაყენებული, როგორც საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში. ძველი რეჟიმის ჰირისუფალნი ცდილობდნენ ქართული სასულიერო სასწავლებლისათვის მათი პირდაპირი დანიშნულება ჩამოეშორებინათ და გადაშენების გზაზედ დაეყენებინათ.

ახლა კი, როცა ჩვენი ცხოვრების კალაპოტი შეიცვალა სწავლა-განათლების საქმეც, უეჭველია, ნორმალურად წავა. ამ მხრივ, გონივრულ ზომად უნდა ჩაითვალოს ეროვნულ საბჭოში მიღებული—დეკრეტი, რომლითაც ყველა ტიპის სასწავლებლები უნდა ექვემდებარებოდეს განათლების სამინისტროს.

დღეს, როდესაც იერიშები მოაქვთ სამღვდელოების წინააღმდეგ, სასულიერო სკოლის მოსწავლენი ზურგს უქცევენ სასულიერო სასწავლებლის მიმართულებას და სწავლის სისტემას, როდესაც სამღვდელოებას ფაქტიურად უკვე ჩამოერთვა ძველი ივერიის ეკლესიის მრავალ მილიონად ღირებული დედულ-მამული. სამღვდელოების ცენზიც ენერგიულად ძირს მიექანება, საჭიროა ამ სასწავლებლის მზრუნველნი მიზან - შეწყობილად ამოქმედდენ და სათანადო რეორგანიზაციის შეტანით აიცილონ თავიდან ის განსაცდელი, რომელიც მას მოელის. საჭიროა ამ სასწავლებლების შესაფერი ნიადაგზე დაყენება.

ამ სასწავლებლების აწინდელი სწავლა-აღზრდის წესი ასეთია: სასწავლებელს შეადგენს ოთხი დაბალი კლასი, ორი მოსამზადებელის განყოფილებით—ეხლანდელი სასულიერო გიმნაზია და ოთხი მაღალი კლასი ორის სალვთის-მეტყველო კურსით—ეხლანდელი სასულიერო სემინარია. სასულიერო სასწავლებელში სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლე გადადის სემინარიის პირველ კლასში, ხოლო უკანასკნელში სწავლის დამთავრებისას იშვიათად მიდის მღვდლად, ხშირად პირველ-დაწყებით სახალხო სკოლების მასწავლებლად, უმეტეს შემთხვევაში კი შეავსებს კადრს დაბალ რკინის გზის მოსამსახურე-მოხელეებისას, ხოლო მადლით და ნიჭით დაჯილდოებულნი, გამონაკლისად, იკაფავენ გზას და მაღალ სასწავლებში შედიან.

პირველი ოთხი დაბალი კლასი მოსამზადებელი განყოფილებითურთ თავის სასწავლო საგნების შემადგენლობით სრულიად ეთანხმება სამინისტრო განათლების გიმნაზიების ოთხ დაბალს კლასს.

აქ შეისწავლებიან იგივე საგნები, იმავე ფარგლებში და პროგრამებით, როგორც ეს დაწესებულია სამინისტრო გიმნაზიებისათვის: ენები სამშობლო, რუსული, ძველი და ახალი, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნების-მეტყველება, გალობა, ხაზვა—ხატვა, გიმნასტიკა, ხოლო ზედ-მეტად არის სამღრთო სჯულის სავალდებულო სწავლა. აი ის საგნები, რომლებიც შეისწავლებიან როგორც სამინისტრო განათლების გიმნაზიებში, ისე სასულიერო სასწავლებლის ოთხს კლასში.

ხოლო რაც ითქვა პირველ ოთხ დაბალ სასულიერო სასწავლებლის კლასების შესახებ ის არ შეიძლება ითქვას სემინარიის ოთხ მაღალ კლასთა შესახებ სალვთის-მეტყველო კურსების დამატებით. სასწავლო მხრივ სემინარიის კურსი არ შეესაბამება გიმნაზიის კურს. აქ მრავალი ისეთი საგანი ისწავლება, რომლების ხსენებაც არ არის სამინისტრო განათლების გიმნაზიებში.—ასეთია, მაგალ., გომილეტიკა, ლიტურგიკა, კანონიკა, ღვთის მეტყველების საგნები. ძირითადის გამქიქებისთვის, ზნეობითის, მოძღვრებისთის, სამღრთო წერილი—ეგზეგეტიკა, რომლითაც გაჟღენთილია მთლად სასწავლებლის კურსი თავიდანბოლომდინ, ფილოსოფია, პედაგოგიკა და სხ. თუ ამ საგნებს გამოვაკლებთ სემინარიის კურს, მაშინ შეგვრჩება მცირე საერთო გიმნაზიასთან რიცხვი საგნებისა. მაგ.: ისტორია. სიტყვიერება, მათემატიკა, ენები, გიმნაზიის კურსის შედარებით შემოკლებულნი.

დღეს აღძრულია კითხვა ამ სასწავლებლებში რეორგანიზაციის შესახებ და უეჭველად უნდა მოწყდეს სასულიერო სემინარიის კურსი, გიმნაზისტური ოთხი დაბალი კლასის გამონაკლისით, წარმოადგენს საშუალო საუკუნოების სქოლასტურ ანზედ—კანტენბერგელის სწავლის სისტემას. ეს შეუძლებელი არის ჩვენს საუკუნეში. აქ ამას გარდა სემინარიის კურსი ზოგად განათლების საგნებისას წარმოადგენს არევდარევას და სპეციალურ სალვთის მეტყველობას, რომლის გამო სასწავლებელი არც ზოგად განათლების სასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს და არც სპეციალურ სალვთის მეტყველო სასწავლებლად. სკოლა მოწყვეტილია ცხოვრებას. განყენებული, წიგნობრივი სწავლა-აღზრდის სისტემა, რომელიც გამეფებულია აქ, ეწინააღმდეგება საღ პედაგოგიურ მოსაზრებას. იგი დაფუძნებულია გონების გამჭრიახობაზედ, უფრო კი მეხსიერებაზედ. დიდებულის პედაგოგების კომენიუსის, როხოვის, რუსსოს, პესტალოცის, დისტერვეგის და სხვ. ნათელის დასკვნით სწავლა უნდა იწყებოდეს კონკრეტულ და გადადიოდეს აბსტრაქტულ საგნებზედ, ინდუქცია უნდა წინაეძღოდეს დედუქციას. აქ კი სულ წინააღმდეგად მოქმედებდენ. წიგნებს, სახელმძღვანელოებს უჭირავთ ცენტრალური ადგილი ხოლო სწავლის საქმეში წიგნებით სწავლება სხვისი თვალსაზრისით მსჯელობა-ცქერა არის. რეფორმატორ-პედაგოგთა ჰაზრით ამ ნაირად შეთვისებული სწავლა წარმოადგენს სტერლიზოვანს და არა ნაყოფის მომტანს განათლებას. მოსწავლენი მოკლებულ არიან ისარგებლონ თავის ცოდნით ცხოვრებაში. შედეგი ერთია: პასსიურად სწავლის მოკიდება, სიძულვილ წიგნებისა, და სახელმძღვანელოებისადმი, რომელიც ეპიდემიურად გადადის მასწავლებლებზედ და მთლად სკოლაზედ. მასწავლებელთ მოსწავლეთა შორის მკვიდრდება მტრული დამოკიდებულება. სწავლა-აღზრდით უკმაყოფილო მოსწავლენი დამოკიდებულებას ეძებენ სკოლის გარეშე, ნიჭიერნი სრულებით ეთხოვებიან სასწავლებელს. მთელი საუკუნოებით ამ ანტიპედაგოგიურ მიმართულებას პრესაში, ლიბერალურ წრეებში განვითარებულნი მასწავლებელნი ენერგიულს კრიტიკას, წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს სისტემა პირმშო შვილია რუსულის სკოლის გრაფ ტოლსტოვის და პობედონოსცევის მიერ რეაქციონურის აზრით და მიზნით დანერგილის. ამ ნიადაგზედ იყო მუდამ ჩვენს და რუსეთის სემინარია-სასწავლებლებში აღგზნებული დაუსრულებელი ბატონობის და ამბოხების ცეცხლის ალი, რომლის მსხვერპლად შეიქმნენ არა ერთი და ორი ჩვენიც ნიჭიერნი მამულისშვილნი და მოსწავლე ახალგაზრდანი.—ამ მოსაზრებით რეფორმა ამ სასწავლებლებისა სრულიად მომწიფებულად მიგვაჩნია.

(დასასრული იქნება)

## კორესპონდენცია.

**პატარძეული** (ივრის-ხეობა)

ეს სოფელი მეტად ვრცელია. კულტურულადაც არ არის ჩამორჩენილი. აქვს ორი სასწავლებელი, შემნახველ-გაასესხებელი ამხანაგობა, კოოპერატივის დუქანი და წიგნთსაცავი, რომელიც გაიხსნა 1898 წ. და პოლიციამ დაკეტა 1906 წელს, მას შემდეგ აქაურ მღვდლებში, მასწავლებლებში და სხ. ვინც არიან „მარილი სოფლისა“ არა ყოფილა მცირედი მაინც ცდა სამკითხველოს გახსნისა. რა უნდა აბრკოლებდეს სამკითხველოს გახსნას? რას ფიქრობენ მასწავლებლები, ნუთუ მათ მოწაფეებს „დედა-ენის“ მეტი არა უნდათ რა? ნუ თუ ბავშვი ისე უნდა გავიდეს სკოლიდან, რომ ერთი წიგნი მაინც არ წაიკითხოს? საინტერესოა, რომ გარედ-კახეთის დიდ სოფლებში: ხაშმში, საგარეჯოში და სხვ. არ არის სამკითხველო და მათი საზოგადოება ალბად ამით ადასტურებს თავის საქმიანობას!

მთელი სოფელი ლოგინად არის ჩავარდნილი. ბევრიც კვდება. სოფელს ასეთი ჭირიანობა არ ახსოვს. არ თუ ექიმი, ფერშალიც არ იშოვება და ეს აასკეცებს ავადმყოფთა გასაჭირს! სანოვაგის სიძვირეც საკმაოდ მაღლაა ასული. პური და ღვინო კარგად მოვიდა, ოღონდაც ჩარჩებმა გაზიდეს ბლომად სოფლის დოვლათი! წრეულს ფუტკრის მუშაობა სულ არ ყოფილა და მარიამ მათიკაშვილის საფუტკრე, რომელიც იძლეოდა 60—80 ფუთ თაფლს, სულ განახევრდა, მოისპო. მთლად მოისპო მღვ. ვანო გულისაშვილის საფუტკრეც.

სოფელი აარსებს სოფლის დამცველ რაზმს, რომელიც იმოქმედებს ავაზაკ-მძარცველთა მოსასპობად.

გ. ხ—ლი.

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს პირველად მიდის „პაიაცები“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ტ. ორდა და ბალეტი. თბილისში ჩამოვიდა ქ-ნი ტ. ი. საბანეევა, რომელიც შედის საოპერო დასში. მალე ის გამოვს სახელმწიფო თეატრში „ტრავიატაზე“.

**ტ. მაჩაბელის** კონცერტი. 15 ნოემბერს, ქართულ კლუბში გაიმართება კონცერტი კნ. ტ. ვ. მაჩაბელის, რომელიც ასრულებს ძველ ციგანის რომანსებს. კონცერტში გარდა მაჩაბლისა, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე: ა. სპანიელი, ი. ლასკარი, ა. ბალაბანი, ნ. ბენდიცკი და ვ. პროზოროვსკი. ყველა ეს არტისტები გამოდიოდნენ „ლადია არგონავტოვში“ და უკვე მოასწრეს ხალხის სიყვარულის დამსახურება.

**„ლადია არგონავტოვ“.** დღეს მესამე დღეა მე-16 ციკლის პროგრამის, რომელშიაც მონაწილეობენ: ჩუიკოვა პ., ელენინი ნ., ლიუბომირსკი ა., ხორინი და სხ.

მიდის „ტრავუშკა“ ჩაიკოვისა და „ვენგრული რაპსოდიები“.

**„დრამა ტარტი“**—კომედია „კარგათ შეკერილი ფრაკი“ მონაწილეობს მთელი დასი, ხუთშაბათს წარმოდგენა არ იქნება, 8 ნოემბერს „მოი სალდატიკ“, 9 ნოემბერს „ტურგენევის დღე“ და წარმოადგენენ „მთვარე სოფელში“.

**„არტისტიული საზოგადოება“** დიდ საკონცერტო დარბაზში. ექვს გიორგობისთვეს გაიმართება საშინაო არტისტიული საღამო: სამხატვრო მინიატურები—მონაწილეობენ: ქ-ნი ზაკუსოვა, კისელოვსკაია, ლუკინა, პორტუგალოვა, სპანიელი, ტიზენგაუზენი, ოციტონცევი და ბ-ნები: ბერეზინი, კურსკი, სანდრო კორონა, ორლოვი. ორკესტრი სტუძლის. საკონცერტო ზალაში ყველა ადგილები და სტოლები მოვახშმეთათვის უფასოა.

**კონცერტი ლედნიკის.** კონსერვატორიის ზალაში, შაბათს, 9 გიორგობისთვეს გაიმართება კონცერტი მ. ლედნიკი და ა. რეშიმოვისა. პირველის სკრიპკით და მეორესი სიმღერით.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

ახლად მოწყობილი სტამბა
**ხელოვნება**
(ველიამინოვის ქუჩა № 20)
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
**მიწის საკითხი საქართველოში**
წინასწრობით დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—10)

ექიმი
**ნიკ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
**საავადმყოფო**
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
**ჯავახიშვილი** [?]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
**სამკურნალო**
[illegible]
საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
**ღარიბები** მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

**კერძო სამკურნალო**
ი. ა. დ ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:
**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილის. 607—914 [illegible] ლიხ) 11—12 ს.
**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.
**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტეროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ელექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
**თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დოხნინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
**ჰ. წინამძღვრიშვილი** [?]
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დ ქტორ მედიცინისა
[illegible]
**ყალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.